





ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო

აღმა

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო  
ალმა

Jean-Marie Gustave Le Clézio  
ALMA

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრთან  
თანამშრომლობით და მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

© Éditions Gallimard, 2017  
Tous droits réservés.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2019  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-607-0

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

*For auld lang syne, my dear*  
*For auld lang syne*  
*We'll take a cup of kindness yet*  
*For auld lang syne*

რობერტ ბერნსი, 1786



## სარჩევი

წინათქმის ნაცვლად გვარები.....	9
მე მქვია დოდო.....	13
ზობეიდა.....	21
ჩიჩახვის ქვა.....	25
მარ-ო-სონყი.....	29
ლა ლუიზი.....	35
კრისტალი.....	42
ალმა.....	47
მაია.....	53
კრევ-კერი.....	57
მაკაბე.....	62
ჰარმონია.....	70
ემელინი.....	77
ტოპსის ამბავი.....	89
კრისტალი.....	92
...დოდო.....	97
ტყეში.....	102
პომპონეტი.....	109
ფეხების განბანა.....	115
კრისტალი (გაგრძელება).....	121
სანაძლეო.....	126
მარი მადლენ მავს ამბავი.....	130
პარიზი.....	138

ხაფანგი.....	144
ადიტი .....	149
აშოკის ამბავი .....	153
დოდო მოგ ზაურობს.....	157
ლე მარი .....	162
ქორნილი.....	168
ხილვა.....	175
საკლავუს ამბავი.....	181
ბრა-დ'ო .....	183
ხვლიკი .....	188
მოციქული .....	192
კრისტალი ციხეში .....	203
დიტის დაბადება .....	211
უკანასკნელი მოგ ზაურობა .....	214
სამხრეთისკენ .....	225
ზღვა.....	231
ორი სახლი .....	239
უკანასკნელი დღეები სამოთხეში.....	243
ჩემი სახელია ა'ავინ .....	247
უცხო, ბოლოთქმის ნაცვლად.....	252



## წინათქმის ნაცვლად გვარეუბი

ოჯახია? ხალხი? ნამდვილად არსებობენ? ბავშვობიდან ჩემში არიან, გაგიჟებული პეპლებივით დაფრინავენ და დაფარფატებენ. ზოგს მას შემდეგ ვიცნობ, რაც ენა ამოვიდგი, ზოგის სახელი საუბარში დასცდენიათ მამას, მამიდებს ან სულაც დედას, რომლისთვისაც სრულიად უცხონი იყვნენ. სხვებზე შემთხვევით ამოვიკითხე „მორისიენ სერნენის“ ფურცლებზე, რომელიც მამაჩემს ჰქონდა გამოწერილი და თაროზე ინახავდა ეკონომიკის ნიგნებისა და Encyclopaedia Britannica-ს კოლექციის გვერდით. დანარჩენების ვინაობა კონვერტებსა თუ ფოტოსურათებზე ეწერა. აქსელ ტომა ფელსენის ტოლი იყო ტყავადაკრული, მომცრო, ყავისფერი ნიგნი, რომელიც კარადის ზედა თაროზე იდო – გვარების წარმომავლობაზე გვიამბობდა და გარდასული დროის სატელეფონო ცნობარით შემომეკითხა ბავშვობაში.

### *The Mauritius Almanach and Colonial Directory for A.D. 1814*

ამ ნიგნში, მიქცევა-მოქცევის განრიგისა და ქარიშხლების ჩამონათვლის გარდა, კუნძულის მცხოვრებთა სიასაც იპოვიდით. ქვის ვეება ტივის მგზავრთა აღწერასავით იყო – ამ კუნძულის მკვიდრებმაც ხომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გემით ჩამოაღწიეს აქამ-

დე. ტივს ინდოეთის ოკეანის შუაგულში ჩაეშვა ლუზა – სწორედ იქ, სადაც ერთმანეთში ირეოდა ანტარქტიკული დინებები, აფრიკიდან დაძრული სამხრეთატლანტიკური ნაკადები, მალაიზიური თბილი წყალი და ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროდან წამოსული დიდრონი ტალღები. აქ, ამ კუნძულზე ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო: დროები, სისხლი, სიცოცხლეები, ლეგენდები, უბრწყინვალესი თავგადასავლები და დავინწყბისთვის განწირული წამები, მეზღვაურები, ჯარისკაცები, ოჯახიშვილები, მინათმოქმედები, მუშები, შინამოსამსახურეები, უმინაწყლო გლეხები. თაობიდან თაობამდე ეს გვარები იბადებოდნენ, ცხოვრობდნენ, კვდებოდნენ, კუნძულზე ამოზრდილი, მწვანით მოსილი კლდის ძირში იცვლებოდნენ და მასთან ერთად მიიწვედნენ მოულოდნელი და გარდაუვალი აღსასრულისკენ.

ძალიან მინდა, ეს გვარები ერთხელ მაინც დაეგასახელო, ჩამოვთვალო, გაგახსენოთ და მერე თუნდაც დავინწყებას მივცე:

ხუროთმოძღვრები: დელაბარი, გასტამბიდი, სარდუ; ხელოვანები: მადმუაზელ ელიზა ბენარი, მადმუაზელ მალვინა, კონსტან ოდუარი, ფლერი; ადვოკატები: დ'ეპინე, ფედერბი; ქვისმთლელები: მარშალი, ეტიმიე; ცხენებით მოვაჭრეები: ბეიკერი, ბრაუნი, ჟიულო, მანკენი, სალისი; მინისმზომელები: ჰოარტი, ჰალო; კონდიტერები: ბოდი, ბერიშონი, კუპერი, დიუმულენი; ვაჭრები: ფერერი, ფლორანსი, ფონტემუანი, ჟილანი, გოდშელი, კურეჟი, ლაშოვლე, ლაფარგი, ლე ბონომი, ლ'ეშელი, ლეგალი, ლენუარი, მაბიი, მაიარი, მარშე, პერინი, პინეგი, რივიერი, რუსტანი, სუფილდი, ტადებუა, ვიგურე, იარდენი; კლერკები: ბეგა, ბენეკი, ბულე, ბუტონი, შარუ, გუმბსი, კორსონი, დემიანე, დრუენი, დიუპრე, ჟიკელი, გულამი, ჟერსი, ნელი, კოხი, ლეკლეზიო, მარენი, მარტუა, პასკიე, პენლონი, კერელი, სალესი, სოზიე, სავარი, ტრიუკე, ტიაკი, ვირიე, ზამუდიო; მკერავები: ბროდის ქვრივი, ანეტ მეზონტურნი, მორო, ნოგარა, სენტ-ამანი; აუქციონერები: შატო, მარინი, მონგუ; მეეტლეები: ბრეტონაში, ლაფურში, ლაგოარდეთი; ზეთისმხდელეები: ბარბი, ლაპოტერი, პატე; მეთუნეუქეები: ბარო, დიუბუა, ლეგური; მესაათეები: ალენი, შედელი, ესნუფი; მუსიკოსები: მადმუაზელ ლელიევი (ფორტეპიანო), პერი-

შონი (ვიოლინო), ვიდე (ფლეიტა), ზანადიო (გიტარა); მეანი: ვალეს ქვრივი; მკურნალები: ანტელმი, კიურე, ფროვერვილი, ლესაჟი, პიტო, სიბალდი, ვიე, ვორნიცი

და ყველა დანარჩენი თავისუფალი მოსახლეობიდან: ხელოსნები, მოხელეები: ლუი კუპიდონი, ელოი ჟანვიე, ზეფირ ფრანსუა, ჟიულ ბუირეტი, ჟან-ბატისტ სან-სუსი, მეჰმედ ალი, აბდულ აზიმი, მამად ბატუტა, კადორი, ბაბურ ხანი, ზუმონ ლასკარი, ზებალდინი, კასიმ მურმამადი, ზამალ ოტემი, ისეფ რაფიკი, მადარ საკირი, მუტუსემ სორტუმუტუ, შავრაია მალაგა

და ყველა სხვა, რომელთა გვარებიც სახელებმა ჩაანაცვლა: მსაზურები, მზარეულები, მრეცხავები, ძიძები, მებაღეები...

ნაციდი და გაყიდული ადამიანები, რომელთაც კვალი მხოლოდ დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებით დატოვეს მონათა რეესტრში, რომელსაც მავანი ტ. ბრედშოუ, ესკვაირი, ათრთოლებული ხელით აწარმოებდა.

მარი ჟოზეფი, VI წლის 2 პრერიალს დამხრჩვალ; ჟიუსტინი, 1786 წლის 12 დეკემბერს გარდაცვლილი; რობენი, 1825 წლის 2 მაისს მკვდარი, ან მეტად დღემოკლე მერი კარისი – თექვსმეტი წლისა, უკვე ერთი შვილის დედა, პორტ-ლუიში 1860 წელს ტიმოტოდან გალას მხარეში (მოზამბიკის სანაპიროზე) ჩავიდა გემით „ლა დაფნე“ (კაპიტანი სალივანი) და სულ რაღაც ერთ თვეში ყვავილმა იმსხვერპლა. მას ყოველგვარი პატივისა და დიდების გარეშე ამოუთხარეს ორმო და გამოუწვავი კირი მიაყარეს.

გვარები ჩნდება, ქრება... ჩემ თავზემთ ისინი ხმოვან თაღს კრავენ, რაღაცას მეუბნებიან, მეძახიან. მინდა, სათითაოდ ამოვიცნო, მაგრამ ჩემამდე მხოლოდ რამდენიმე აღწევს – სასაცილო მარცვლები, რომლებიც ძველი წიგნების ფურცლებსა თუ საფლავის ქვებს გამოვგლიჯე. ეს გვარები კოსმიური მტვერია, რომელიც კანს მიფარავს, თმაზე მეყრება – ვერანაირი ქარი მას ვერ ჩამობერტყავს. ამ გვარებიდან, ამდენი სიცოცხლიდან ჩემთვის ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანი ის დავინყებული კაცები და ქალები არიან, რომლებიც გემებმა ოკეანის გადაღმა მოიტაცეს, აქაურ სანაპიროებზე მოისროლეს, დოკების სრიალა საფეხურებზე მიატოვეს, მცხუნვარე მზისა და მათრახის ანაბარა მიყარეს. მე ამ ქვეყანაში არ დავბადებულვარ, აქ არ გავზრდილვარ. მასზე ცოტა რამ ვიცი, მაგრამ მისი ისტორიის სიმძიმე მეც მანევს. სადაც უნდა წავიდე, მის ტვირთს მეც ვატარებ. ჟერემი ფელსენი მქვია. ჩემი მოგზაურობა მანამდე დაიწყო, სანამ მასზე რაიმეს ვიფიქრებდი.

## მე მძვინა ღოღო

ღოღო. *Such a* ღოღო. ჰაჰაჰა, მესმის მათი ხმა! სულ ასე მეუბნებიან. მამიკო, დედიკო, თქვენ რატომ არაფერს ამბობთ? არასოდეს უჯავრდებით. არ გაინტერესებთ. ყურადღება არ მიაქციო, არა უშავს. ბოროტები, შურიანები არიან. შეურაცხყოფას თუ მიაყენებ, საკუთარ თავს ავნებ. გაანებე, არ შეხედო. ნაშალე ისინი. ადვილია, თვალები დახუჭე, პირი მოკუმე და სიბნელეში გაუჩინარდებიან. ლაქებად იქცევიან. არც საპონი დაგჭირდება, არც ხეხვა, არც წყალი. თვალები დახუჭე, მუშტები ქუთუთოებზე მიიჭირე და მიანეჭი, თვალის გუგები შეგენევა და ნაპერწკლები გადმოიყრება. ეს მომწონს. არტემიზია, მოხუცი ძიძა, თითქმის ბრმაა, მაგრამ ნაპერწკლებს ხედავს. თვითონ მითხრა. რას ხედავ, ძიძა? რას ხედავ შენი შავი სახის ლურჯი თვალებით? ნაპე'წკლებს, ჩემო პატა'ა. ნაპე'წკლებს ვხედავ, მეტს ვე'აფე'ს. არტემიზიამ ძუძუ მანოვა. ახლა ძუძუები მოემჩვარა და გაბერილ მუცელზე დაეფინა. რუხი პერანგივით ადგას. მაგრამ სახე შავი და გადატკეცილი აქვს, მიყვარს მის ლოყებზე ხელის გადასმა. ჩემი პატა'ა შავტუხა, ჩემი პატა'ა ბავშვი. ამას ნაზად, ნაზად ამბობს და მეც თვალებს ვხუჭავ, რომ მასავით გვერდებში გადანითლებული სიბნელე დავინახო, ფოთლების ჩრდილები, რომლებიც მზეზე ირხევა. ჩემ მეტი არავინ ჰყავს. მისი ქალიშვილი ონორინი და დისშვილები არ აკითხავენ. რცხვენიათ, ლაროსების, ფე'სენების ძიძა, მონა რომაა, როგორც ამბობენ, იმიტომ, რომ გულ'ონისფე'ია – შავი, შავი. მაგრამ მე ის მიყვარს, ხე-

ლებზე გლუვი, მკვრივი, ნაჯაფარი, უნაოჭო კანი აქვს და ვარდისფერ ხელისგულზე არც სიცოცხლის, არც სიყვარულის ხაზები არ ეტყობა – ისეთი, გოგონებს რომ აქვთ ხოლმე. დედიკო ლაროსი კვდება, მაგრამ არტემიზია ისევ აქაა. ხომ არ მოკვდები, არტემიზია, ჰა? ყველა კ'დება, დოდო. შენ არა, არტემიზია, შენ არ უნდა მოკვდე. მიყვარს, როცა იცინის. მართალია, მყრალ სიგარეტებს ეწვევა, მაგრამ ქათქათა კბილები აქვს – გამუდმებით ზანის ჯოხებს ლეჭავს. მსუქანია, დასივებული ფეხებით გადაადგილება უჭირს, ტერფებზე წვრილ-წვრილი ნახეთქები აღარ უხორცდება და ქინქლები ესევიან. მომწონს, მის ბებერ ძუძუებს რომ ვეხები. როცა ვკვდები, ეს ძუძუები რძეს მაძლევს იმიტომ, რომ დედას რძე არ აქვს. არტემიზიას ძუძუებს ვეხები და ვამბობ: აქეთა ჩემია, იქითაც ჩემია. ამაზე იცინის. ჯუჯღუნებს და ხელზე მარტყამს, მაგრამ ეს ახალისებს. არტემიზიამ ყველა გამოცანა იცის, განსაკუთრებით მოსწონს ცოტა უზრდელოურები – ისეთები, ბავშვებს რომ არ ეუბნებიან: შემოვუარე კერასა, თითო შევეცი ყველასა. მაგის პასუხია – წინდის ქსოვა. და აი, კიდევ ამაზე სულ მეცინება: მოდი, ბიჭო, დავიძინოთ, ხუჭა-ხუჭა ვქნათო, ბანჯგვლიანი, ბუნჯგვლიანი, ერთმანეთსა ვკრათო. ეგ არის ნამწამები. ონორინი სწორედ ამიტომ არ მოდის ხშირად მის მოსანახულებლად. ონორინი ორმოცდაათიანელია. სძულს ყველა ფე'სენი, უნდა, რომ ჯოჯოხეთში დაინთქნენ. ახლა ისინი აღარ არიან – დედიკო ლაროსი, მამიკო და მოხუცი არტემიზია. მელა დაფრჩი. მაგრამ მე არ ვარ ფე'სენი, ქვის ნახსლეტი. მე დოდო ვარ, სულ ესაა. ამიტომ ონორინი თავის სახლში მიშვებს, კართან, იატაკზე დაგებულ ლეიბზე ვიძინებ, უსახლკარო მანანწალასავით.

ყოველდღე დავდივარ. მთელი დღე. იმდენს დავდივარ, რომ ფეხსაცმელები მეხვრიტება. როცა ნახვრეტები ძალიან დიდია და მუყაოთი ველარ ვავსებ, სხვა ფეხსაცმლის საშოვნელად მივდივარ. ვიცი, სად ვიპოვი. მაღლობზე ავდივარ, ტრუ-ო-სერის მხარეს, ბოტანიკური ბაღისა და სვედენბორგიანული ეკლესიის მიდამოებში.

აი, აქ ვიშოვი სხვა ფეხსაცმელს. ნაგავში ქექვა არ მჭირდება. კარის ზღურბლზე მოსამსახურე ქალებს ვთხოვ, ისინი დიასახლისებს ეუბნებიან და გაზეთში გახვეული ფეხსაცმლით ბრუნდებიან. გაზეთსაც ვიტოვებ. მიყვარს სიახლეების კითხვა, მთლად ცინცხალი ამბები არაა, მაგრამ არც ფეხსაცმელია ახალთახალი. ქუჩაში, დიდი ხის ჩრდილში ვჯდები. ძალიან კარგად ვერ ვკითხულობ იმიტომ, რომ ხაზები მერევა, მაგრამ საკუთარი სახელების კითხვა ძალიან მომწონს. ანბანური თანმიმდევრობით ვიმახსოვრებ:

იე ტონგ ვა ჟერემი  
ტრილოკ მანუ როჰანი  
ჩავლა ჩაჰეკი  
ჩანგ ვინგ სინგ მარი-ლუიზი  
ჩელემბერ მადჰვი  
ჩეონგ იუნ ელისონი  
ჩირო ზეინაჰი  
ჩოჟრო ბიბი შაზია

მოსამსახურე ქალები ფეხსაცმელს რომ მანოდებენ, თავაზიანად მესაუბრებიან, დოდოს მეძახიან და არა ფე'სენ – ქვის ნახლეტს. ხანდახან მეხუმრებიან, მეარშიყებიან, ვითომ მათი შეყვარებული ვარ, თეთრ კბილებს მიჩვენებენ და ფეხსაცმელს მაძლევენ. ახლა შემოიძლია გამოვბრუნდე, შორს წავიდე, მთებამდე, ტყემდე გავუყვე გზის ნაპირს. მანქანები მიპიპინებენ, ავტობუსები, სატვირთო მანქანები ამუხრუჭებენ, ვილაცები მიყვირიან: „ოე, დოდო!“ მივაბიჯებ, მერე ვილლები და ფერდობზე ვჯდები. ვუყურებ მთებს, სანვიმარ ღრუბლებს, ზოგჯერ შორს, მინაყრილისკენ ზღვას ვხედავ. მზის სხივები ტალღებზე ბრწყინავს.

ბოლოს ყოველთვის ალმაში მივდივარ. ახალ უბნებს გავივლი. იქ ბევრი ახალგაზრდა, სტუდენტი, ბანკის თანამშრომელია. არავინ

მიცნობს. ეს ახალი სამყაროა. კასკადის ხიდზე გადავდივარ ან მინის მხარეს ლერწმინის გზას ვადგები, მდინარეს მივუყვები ხეობაში, სადაც მზე თვალებს მწვავს. ვალეტამდე მივდივარ, ხიდქვეშ გავდივარ და ახლა უკვე ტბის ნაპირს მივუყვები ძველ ლიანდაგებამდე. აქ მოსვლა მიყვარს – არასოდეს არავინაა. ათასში ერთხელ მოხუცი ქალი ფიჩხს აგროვებს კოცონისთვის ან გლეხი დასუნსულეებს არყიანი ბოთლით ხელში. ტბის გარშემო ძაღლები ყეფენ. ყვითელ კბენია ფინიებს ვერიდები. აქვე ვრჩები. დილით ტბის ნაპირზე თბილა, ნემსიყლაპიებს ვუსაფრდები. კენჭებს ვაგროვებ და ველოდები. ლერწმის მოჭრილ ტოტებს ვეძებ. შაქარს ვწუნნი. წინა კბილები არ მივარგა, სამაგიეროდ, უკანა კბილები მაქვს კარგი, ბოჭკოს ვჭყლეტ და მძაფრ, მწარე წვენს ვწუნნი. მამიკო ასეთს სპილენძის ქვაბში ადუღებს, სანამ ტალახს არ დაემსგავსება. ამბობს, რომ ჯანმრთელობისთვის კარგია. ისეთია, თითქოს მიწას სვამ.

ალმა. ეს სახელი პატარაობიდან ვიცი. ვამბობ: დედა, ალმა. დედა არტემიზიაა. დედიკო კი კარგად არ მახსოვს. ექვსი წლის ვარ, როცა კვდება. მაღალი და ფერმკრთალია. როგორც ჩანს, ნელ-ნელა კლავს სისხლი თუ ძვლები. დიდი მომღერალია, ყველა ასე ამბობს. ამიტომ უყვარს მამიკოს, მიუხედავად ბოროტი ხალხისა, ვისაც მისი გაგდება უნდა, რადგან კრეოლია, რეუნიონელია და ხშირი, ხუჭუჭა თმა აქვს. ძალიან გამხდარია, წელში გამართული. მახსოვს, როგორია სიკვდილის წინ. ფერწასული დგას სამზარეულოს კართან, თეთრი პერანგი აცვია. მებაღე ჰარეკრიშნა ამბობს, რომ აჩრდილს ჰგავს. სად არის არტემიზია? დედა მინდა, ვუყვირი აჩრდილს. შენ კი არა, დედას ვეძახი, დედას, არტემიზიას, ჩემს ძიძას. შენ არ მინდიხარ.

მერე სენ-ჟანის სასაფლაოზე ვბრუნდები. აქ მოსვლა მიყვარს. ჩემი სახლივითაა, მე ხომ საკუთარი სახლი არ მაქვს. ამას ვეუბნები სასაფლაოს მცველებს და იცინიან: „დოდო, სახში მოხველი?“ დამცინიან, მაგრამ პატივს მცემენ, რადგან ფე'სენი ვარ, ჩემს გვარში



უკანასკნელი. ფე'სენები გარდაცვლილებში ყველგან არიან: სექცია ო, სექცია ყ, სექცია მ. ყველას არ ვიცნობ. მაგრამ ვიცი, სად ცხოვრობენ: აქაბ ფელსენი ჩემს დიდ ბებია უანი ბეტთან ერთად – დიდ შავ ხესთან, ეყენ ფელსენი და მარი ზაქარი – გაბრიელ მთავარანგელოზის ქანდაკების გვერდით, რობერ ფელსენი – ხეივნის ბოლოს, ფიტუსების საფლავების გვერდით. მარმარილოს ფილაზე მისი პორტრეტი სანახევროდ ნაშლილია. მამიკო და დედიკო ლაროსები აქ არავის ჭირდება, ამიტომ სასაფლაოს მეორე ბოლოში, ძველი კედლის ძირში, ნაცრისფერი გრანიტის ქვეშ არიან. უნინ საფლავს გარშემო ჯაჭვი აქვს შემოვლებული, მაგრამ მერე ვილაცა იპარავს და რჩება მარტო ცემენტის ბოლოგახვრეტილი ოთხი ბოძი, რომლებსაც ჯაჭვის უანგის კვალი ამჩნევია. ცარცი მომაქვს და ნაშლილ ასოებს ვწერ: ანტუან ფელსენი, 1902-1970 და ელენ რანი ლაროში, 1913-1940. მიყვარს ეს სახელები. ძალიან თბილებია. ჩემში არიან და მეჩურჩულებიან. ხმადაბლა წარმოვთქვამ მათ და ცარცის ნატებს ვუსვამ ასოებსა და ციფრებს. „დოდო, 'ას აკეთებ აქა?‘“ ეს დარაჯია, ძალიან მაღალი და შავია, თავზე ყოველთვის ჭილის ქუდი ახურავს. შავი, დალაქავებული და გაცრეცილი კოსტუმი აცვია. უანი ჰქვია. მისიე ზანი. „ეს ნაიშლება, ბებე'ო. სალიბავი უნდა გადუსო. მე მოგცემ სალიბავს“. არ მინდა მაგის სალიბავი. ერთხელ გადავლებო და მერე დავივიწყო? მთელი წელი აღარ მოვიდე? არა, არა, ჩემს მოხუცებს ცარცი მოსწონთ. ყურში მიჩურჩულეს.

უინჟლავს. სენ-უანში რომ მოვდივარ, ყოველთვის ასეა. ლერწმინანს მოვუყვები, პატარ-პატარა ბილიკებზე მოვაბიჯებ მზეში. მიწა წითელი და დამსკდარია, სახე და ხელები მენვის. როგორც კი აბანოზის სანაპიროს გზას მოვადგები, მთის თავზე ღრუბლები გროვდება. შავი და თეთრი ღრუბლები ერთმანეთს ეჯახება და წვიმის ცივი ქარი იწყებს ქროლას. ადამიანები ფეხს უჩქარებენ, ქოლგის ქვეშ შეყუჟულები, ნახრილები მიაბიჯებენ. კოლეჯის მოსწავლე გოგონები ავტობუსებში ხტებიან. მათი შეძახილები ისმის, იცინიან, ქათქათა კბილებს აელვებენ. მიყურებენ და კისკისს უმატებენ. მე მათ არ ვიცნობ. სულ ახალი დაბადებულები არიან. მათ

არასდროს ვხედავ, მარტო აიშა ვიცი, ზინ მადამის გოგო. კოლეჯში სწავლობს, მაგრამ ყველა ამბობს, რომ ბიჭებს ხვდება. აიშას შავი, ხვეული თმა და მწვანე თვალები აქვს. მიყურებს და მიყვირის: „ოე! დოდო! Dodo-bird! საით?“ ხელს ვუქნევ, რადგან მომწონს აიშა, ძალიან ლამაზია. მერე წვიმაში ვაგრძელებ გზას, წვეთები ლოყებზე მეღვრება, პერანგს მისველებს და ფეხებამდე ჩამდის. მიყვარს წვიმა სენ-ჟანის სასაფლაოზე. მამიკო, დედიკო, წვიმა თქვენც გიყვართ. როცა მკვდარი ხარ, წვიმა გიყვარს, რადგან ის ცრემლებს ჰგავს. პატარა როცა ვარ, ვერ ვამბობ: „წვიმს“, ვამბობ: „ტირის“.

მამიკო მაღალი და გამხდარია. ყოველთვის შავი ტანსაცმელი აცვია, შეიძლება ცოლის სიკვდილის გამო. ყველა პატივს სცემს. ადრე მოსამართლე რომაა, მისი ალბათ ბევრს ეშინია. არადა, ძალიან გულთბილია, არასოდეს ბრაზობს, არასოდეს ყვირის. ყოველ დილით ქალაქში მიდის საქმეებზე. არ მკოცნის. ხელს არ მართმევს. ზევიდან დამყურებს და ოდნავ იხრება იმიტომ, რომ ის მაღალია, მე კი – დაბალი. მარტო ამას მეუბნება: „Behave“. მოსწონს, ინგლისურად რომ მელაპარაკება. უაზროდ არასოდეს ლაპარაკობს, არ ჰგავს ჭორიკანა, მოჩხუბარ, მატყუარა ადამიანებს. რამდენიმე სიტყვას მეუბნება ინგლისურად: „So long“ ანდა „What's up?“ სალამოს სახლში ბრუნდება, ნავახშმევს ტყავის სავარძელში ჯდება, გაზეთს გადაშლის და ეძინება. კიდეც ეწევა, ინგლისური სიგარეტი ფანქარივით უჭირავს – ცერითა და საჩვენებლით. თითები და კბილები ყვითელი აქვს. მამიკო სახლში მოწვევას ვერ ბედავს, როდესაც დედიკო ჯერ ცოცხალია, რადგან მას თამბაქოს სუნი სძულს. ამას არტემიზია მეუბნება. და როდესაც დედიკო კვდება, მამიკო მოწვევას იწყებს. ამის გამო ხველა ახრჩობს. ლამით მესმის მისი ხველა – ველარ ჩერდება. ასთმა აქვს, ასთმიანებისთვის მოწვევა არ შეიძლება. ექიმი ჰარუსინგჰი ეუბნება, რომ სიგარეტის ყოველი ღერი სიცოცხლეს თითო წლით უმოკლებს, მაგრამ მამიკო არ უჯერებს. ამბობს: „ეგებ სიცოცხლის მოსწრაფება მინდა?“ ასეც ხდება. დღედაღამე ახველებს და ერთ დილას გულში, თავში ძარღვი წყდება და მამა კვდება. მესმის, როგორ კვდება. დიდი ხმაურია, როცა იატაკზე ეცემა, მაგ-

რამ მე ფეხს ვერ ვიცვლი, მეშინია. მერე ყელში წყალი უბუყბუყებს, ხრიალებს, იხრჩობა. არტემიზია შუადლისას პოულობს ფილაქანზე და მარტო აწვენს საწოლში. როცა ვყვირი და ექიმის მოსაყვანად გავრბივარ, მამიკო შეიძლება კიდევ ცოცხალია.

თავიდან, სენ-ჟანის სასაფლაოზე, ვსაყვედურობ. ნაცრისფერი ქვის ფილაზე ვჯდები, სადაც მისი და დედიკო ლაროსის სახელები წერია. „ექიმ ჰარუსინგჰს უნდა დაუჯერო. თუ იმას შეასრულებ, რასაც გეუბნება, კიდევ შეძლებ ჩემთან ყოფნას“. თუმცა სინამდვილეში მგონი, კმაყოფილია, რომ არ ემორჩილება, სიცოცხლეს იმოკლებს და ახლა თავის ცოლთანაა. აღარ ვსაყვედურობ. ალბათ მონევა მეც უნდა დავინყო და მამიკოსთან და დედიკოსთან მალე წავიდე. არადა, მაკანკალებს, როცა საკუთარ თავს რუხი ქვის ფილის ქვეშ წარმოვიდგენ. მე თუ ქვევით ვარ, ვინლა დანერს გვარებსა და თარიღებს ცარციტ? მისიე ზანი ამას არ აკეთებს. თავის საღიბავსაც არ უსვამს წარწერებს, რომს სვამს და ქოხში იძინებს იმის მოლოდინში, ვინმეს ცოტა ფული დაცინცლოს ყვავილების მოსარწყავად და მლაშე წყლითა და ჯაგრისით საფლავეების გასანმენდად. აქ, სენ-ჟანის სასაფლაოზე ჩინელების საფლავეები მომწონს. მათ ჰქვიათ ჟანგ ფო, ჟანგ ჰო. დიდი საფლავეები არაა, სამაგიეროდ, ძალიან ლამაზია. ყოველთვის არის ყვავილები და მწვანე წარგავები. აქვე დგას ქილები ჩამქრალი სურნელოვანი ჯოხებით. მოხუცებისთვის კარგია, ჩინელები რომ ჰყავთ მეზობლად. სულ წუნუნებენ, ნათესავეები, ახლობლები – ყველა ცუდად გვექცევაო, ყოველთვის ამბობენ: „ასპიტა მოდგმა“ ან „გეენა“. ეს ნიშნავს, რომ კუნძული მათთვის ჯოჯოხეთია. ახლა კი სუფთა და მონესრიგებული ჩინელების გვერდით სძინავთ.

აღრე აქ მამიკოსთან ერთად მოვდივარ, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. შავები აცვია, პატარა ქუდი ახურავს. გალაქული ფეხსაცმლით მოდის. ყვავილები არასოდეს მოაქვს – მძულსო. ჰოდა, არც მე მომაქვს. მისიე ზანი მაკრიტიკებს: „აბა, მისიე ფე'სენ, ე'თი თაიგული ვე'ა?“ ჰგონია, წუნურაქი ვარ. ვეზიზღები იმიტომ, რომ ფეხსაცმელი შიშველ ფეხზე მაცვია. ხვდება, რომ ფეხსაცმელი ჩემი არ

არის – სანაგვეში ნაპოვნია. მკვდრის ფეხსაცმელი. მკვდრის ტყავში დავდივარ. ყველა ფეხსაცმელი მკვდრის ტყავისაა. მამიკოს ხათრით, რომელიც მისიე მოსამა'თლეა, მისიე ზანი მერიდება. უნინ, მამიკოსთან ერთად რომ მოვდივარ, არავინ გვაბეზრებს თავს, არავინ გვაბრაზებს. მისიე ზანიც აქაა, მაგრამ თავისნაირ ტარაკანებთან ერთად ხვრელში იმალება. ჩვენ რომ მივდივართ, მერე გამოდიან, საფლავს უტრიალებენ, რომ საკბილო ნახონ. ამ დროს საფლავის გარშემო ჯაჭვი ჯერ კიდევ კიდია. როცა პატარა ვარ, ჯაჭვზე ვჯდები და ვქანაობ. დედიკოს სახელი სულ ახალი დაწერილია, შავი ასოები ნაცრისფერ ფილაზე კარგად ჩანს. ყოველ ასოს, ყოველ ციფრს შესანიშნავად ვხედავ, ყველაფერი ტვინში მეტეჭდება. მინდა შავად დაწერა, მაგრამ ნახშირს ვერ ვშოულობ. ცარციით ვწერ და მაშინვე იშლება. ჰოდა, ახლაც თეთრად, ცარციით ვწერ. მაგის ოხერი სალიბავი არ მჭირდება. მისიე ზანი ჩინელების არა, მაგრამ ხან მოხუცი ლალმატის, ხან ვილაც ამამპურის საფლავებს ღებავს. მგონი, განგებ აკეთებს, მაშინებს, შემდეგი თქვენი, ფე'სენების საფლავიაო. მე ვუყურებ, არაფერს ვამბობ, მაგრამ ეს ნიშნავს: ხელს თუ ახლებ, მოგკლავ. მამიკოსავით მაღალი არ ვარ, გამხდარი და დაძარღვული ვარ, მაგრამ ჩემი სახე აშინებს. ცხვირი არ მაქვს, ქუთუთოები არ მაქვს, ლოყები სულ დახვრეტილი მაქვს. იმიტომ არა, რომ დავბერდი, არა, რაც გავიზარდე, ასეთი ვარ – ავადმყოფობის ბრალია. ავადმყოფობას არავინ ახსენებს, მაგრამ მან დამტოვა უცხვირო და ლოყებდახვრეტილი. ავადმყოფობამ ყველაფერი შეჭამა. მისი სახელი არ ვიცი. ერთ დღეს, მამიკო ჯერ კიდევ ალმამია, მის ნივთებში, მის კაბინეტში ვიქექები და შეკრულ საქალაღდეს ვპოულობ. მასზე ჩემი სახელი, დომინიკი, წერია. საქალაღდეში საბუთებია: მოკის მერიში რეგისტრირებული ჩემი დაბადების მონუმობა, ლე ბურის სკოლის ნიშნების ფურცლები და ასევე ინგლისურად დაწერილი ექიმის ცნობა ისეთი სიტყვებით, მე რომ ვერ ვიგებ, და სულ ზევით, ნითლად, უცნაური ნიშანია. რვეულში ვინერ, რომ არ დამავინყდეს. მინდა, ვიცოდე, რას ნიშნავს. ვხვდები, რომ ეს ასოა სახელი იმ დაავადებისა, რომელიც ჩემს სახეს ჭამს: Σ.